სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №163/01-01, 09.07. 2018წ.
დანართი №1

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში კორუნას უნივერსიტეტის მიერ (ესპანეთი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსეული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა ა/წ 13 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების საკონკურსო პირობების შესაბამისად.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
კანდიდატები შეირჩევიან პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს და სტიპენდიას მიანიჭებს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე. მასპინძელ უნივერსიტეტს წარედგინება რეიტინგით 2 საუკეთესო შეფასების მქონე აკადემიური პერსონალის დოკუმენტაცია.

3. კანდიდატების შერჩევა
ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით
1. მოტივაცია
2. სამუშაო გეგმა

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და სამუშაო გეგმის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციისა და სამუშაო გეგმის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

| | |
|---|---|
| ბრწყინვალე - | 10 ქულა |
| ძალიან კარგი - | 9 ქულა |
| კარგი - | 8 ქულა |
| დამაკმაყოფილებელი - | 7 ქულა |
| საკმარისი - | 6 ქულა |
| არადამაკმაყოფილებელი - | 5 ქულა და ნაკლები |

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.